წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. შაბათი ოქტომბრის 28—(10) 1917

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . . . 5 შაურა.
განცხადებათა ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტთ ღირს . . . . . 2 მან.
უკანასკნელ გვერდზე . . . . . [illegible]
ქალაქ გარეთან მიღებული [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლში. კანტორა ღია ა დღის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის; კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 161 ეროვნული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 161

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულდამწუხრებული მეუღლე ედუკი, შვილები: ოლდა, მარო და შალვა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, ოქტომბრის 29, საფირჩხიის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის მეუღლის, ხოლო მეორეს მამის

მიხეილ სიმონის ძის ლეკვიაშვილის

სულის მოსახსენებლად.

ქუთაისის მოქალაქეთა საყურადღებოთ.

დამფუძნებელი კრების ქუთაისის საქალაქო საარჩევნო კომისია

საყოველთაოდ აცხადებს, რომ: დამფუძნებელი კრების საარჩევნო სიების გამოსაქვეყნებელ უკანასკნელ ვადათ დანიშნულია მდგომარე 1917 წლის ოქტომბრის 20 რიცხვი; 21 ოქტომბრიდან 27-მდი საარჩევნო კომისია იღებს განცხადებებს სიებში აღმოჩნენლ შეცდომების თუ გამოტოვების შესახებ; 28 ოქტომბრიდან 30-მდი კომისია არჩევს შემოსულ საჩივრებს; 31 ოქტომბრიდან 3-ნოემბრამდი მოქალაქეთ უფლება ეძლევათ პროტესტი განაცხადონ ან განასაჩივრონ კომისიის დადგენილებანი ოლქის სასამართლოში; 4 ნოემბრიდან 6-დი ოლქის სასამართლო აარჩევს შესულ საჩივრებს და 7 ნოემბრიდან 11-დი ამომრჩეველებს შეუძლიათ კვლავ გადაათვალიერონ საარჩევნო სიები.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამზღვევ საზოგადოების საგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრთა ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:

ძმ. ულრიხლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

სეარის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, საგუნოს და ნერვიულის სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. ბეშკინის ქუჩა, ვიტეშინსკის სახლი

ექიმი,

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვიული და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებინ დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ექიმი **ფალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

გოლოშვილიკეგის გამოსვლა.

რუსეთი კარგა ხანია ელოდა ბოლშევიკების აქტიურ გამოსვლას. ჩვენ ბევრჯელ ალვნიშნეთ, რომ აწინდელ გარდამავალ ხანაში ბოლშევიკების ქედგას გასვლი მიეცა. რუსეთის ხალხში მაქსიმალისტური მისწრაფება გაცილებით მეტ გასაჯალს პოულობს, ვიდრე ზომიერების, თან დათანობის გზით სახელმწიფოს აღმშენელობა.

მენშევიკები, ესერები და კადეტები ამ ეპოქათ თანასწორ კრიზის განიცდიან. იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს მეგზაურობა ამათ ხელთ იყო, თვით მპყრობელობის ნანგრევებზე ვერ შექმნეს სათანადო სისწრაფით მტკიცე მმართველობა, რომელსაც შესძლებოდა მთელ ხალხში ავტორიტეტის გამოჩენა და ქვეყნის ანარქიისგან დაფარვა.

დღეს რუსეთი ანარქიის ცეცხლში იწვის.

კატასტროფა აუცილებელია. ამ დროს ყველა გზა ამნეული და თავბრუდასხმული.

რუსეთის დემოკრატია, როგორც ასეთი განსაცდელთან ვერაფერს აწყობს.

გრძელდება დარღვევა და დაშლა სახელმწიფოსი.

გარეშე მტერი სისწრაფით მიიჭარის რუსეთის დასამონებლათ.

აი, ასეთ დროს ბოლშევიკები აქტიურათ გამოვიდენ. პეტრეს ქალაქში დიდი ამბებია მოსალოდნელი.

ბოლშევიკებს შეუდგენიათ რევოლუციური კომიტეტი.

ვერენკო ლაშქრით მიდის ბოლშევიკების წინააღმდეგ. სისხლის ღვრას ელიან, რადგან კადეტები და ყაზახობა ასე ადვილათ არდაუთმობენ ბოლშევიკებს.

რევოლუციის უსასტიესი კრიზისი დაიწყო.

სიმშილი, მიმოსვლის ჩამოქვეითება, სხვადასხვა აუცილებელ საჭიროების საგნების მოსპობა ორკეცებენ კრიზისს.

ხსნის გზის გამონახვა ძნელია.

როგორიც არ უნდა იყოს რუსეთის მდგომარეობა, რა უბედურებაც არ უნდა ელოდეს რუსეთს ჩვენ, ქართველებს მაინც განსაკუთრებული საკუთარი გზა და მიზანი გვაქვს.

მრისხანე დრო სიფრთხილეს და სიფხიზლეს გვიჩვენებს.

შეერთებულის ძალღონით წინ უნდა აღუდგეთ ყოველგვარ ანარქიულ მოვლენას და ჩვენი ქვეყანა დავიცვათ.

ისე საჭირო არის დროს არ ყოფილა ეროვნულ თავდაცვის ორგანიზაცია, როგორც დღეს... განკითხვის დღეები დადგა... ხვალ უარესი იქნება... საჩქაროთ საქმეს შეუდგეთ... ქართველი ხალხი დაიფაროთ.

დ.

კრიტიკა საჭიროა.

სარევოლუციო წრეებში ისეთმა შეხედულებამ იჩინა თავი, ისეთი სულიერი განწყობილება გაბატონდა, რომ, სამშუხაროდ, არა თუ სერიოზული, მგონი, საბედისწერო კითხვებიც კი იბადება რუსეთისათვის.

ახლა თითქმის ყველა დაწესებულება გადაპარლიდა. რევოლუციის ტალღა, სხვას გარდა, სასამართლოსაც კი. მოხდა. გაუქმებულ დაწესებულებათა ადგილზე ახალი სარევოლუციო ორგანოები აღმოცენდენ.

ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებათა, რასაკვირველია, სიამდო პირები იქნენ დანიშნულნი. მაგრამ ეს პირები ზრნად „სიამდო“ იყვნენ მხოლოდ რევოლუციის თვალსაზრისით. ბევრი იმთგანნი არ იყო მომზადებული ახალი საქმისათვის: იმათ აკლდა სპეციალური ცოდნა და გამოცდილება. წარმოიდგინეთ, რომ ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოებიც, სადაც ყველაზე უფრო პოლიტიკა იყო საჭირო, ამ ბოლო დროს ჩამოქვეითდენ, ჩამოქვეითდენ იმ მიზეზით, რომ მომზადებულთა რიცხვი მცირედი აღმოჩნდა. ამას დღეს საბჭოთა ოფიციალი „Извѣстія“-ც არ ფარავს: „საბჭოები საუცხოო ორგანოები იყვნენ ძველ რეჟიმთან საბრძოლველად, მაგრამ უძლურნი გამოდგენ ოგინი ახალი წესწყობილების დასამყარებლათ: არა ჰყავთ სპეციალისტები, არა აქვთ გამოცდილება და მოხერხებათ“.

ეს თუ ითქმის საბჭოთა შესახებ, სადაც „რევოლუციონერობას“ უპირველესი ადგილი უჭირავს, რალა უნდა ვთქვათ სხვა ორგანიზაციათა შესახებ, სადაც სხვანირი საქმიანობა უფრო საჭიროა.

ავიღოთ, მაგ., სასურსათო საქმე. აქ მარტო პოლიტიკა, ოგრეთვე მარტო ზოგადი განათლება არაა საკმარისი: საჭიროა, ამ დარგის სპეციალურად შესწავლა, საჭიროა გამოცდილება, რომელიც ბევრ ნიჭიერ რევოლუციონერს აკლია. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ეს ორგანოები, ამ პირობებში, ხალხის მოთხოვნილებას ვერ დაკმაყოფილებდა. მოსალოდნელი იყო, რომ ბევრ შეცდომას ექნებოდა ადგილი. სინამდვილეს გვერდს ნუ აუვლით და გულახდილათ ალვიაროთ, რომ ეს ასეც მოხდა: ზოგიერთი სარევოლუციო დაწესებულების მოქმედება საგრძნობლათ შეფერხდა.

როგორ უნდა შეხედეთ ახალ დაწესებულებათა შეფერხებას, ისევ შეცდომებს? გაეჭუმდეთ, მივაფუჭეოთ? თუ შეცდომებზე მიუთითოთ? თუ საქმიანობითი კრიტიკა გაუწიოთ, საქმის გამოსწორების გზა ეუჩვენოთ?

ეს მართლა და საბედისწერო კითხვები ასე პირდაპირ, პრინციპიალურად, რამდენათაც ვიცით, ჯერ არ დაუყენებიათ პრესაში. მაგრამ ვინ რა პასუხს იძლევა ამ კითხვებზე, ამის გამოკვლევა ადვილია.

ზოგიერთი იმ აზრზე სდგას, რომ არ შეიძლება, სარევოლუციო ორგანოების წინააღმდეგ ხმა ამოვიღოთ, საჭიროა მათი შეცდომები მივჩქმალოთ. რატომ? იმიტომ, რომ, იმათი აზრით, სარევოლუციო დაწესებულებათა კრიტიკით, იმათი შეცდომების გამომჟღავნებით, რევოლუციის საქმეს შეეფერხებით, ხალხში რეაქციას გამოვიწვევთ. ამიტომ, ყოველივე გამოსვლა, რომელიც ახალ ორგანოთა მოქმედებას ხალხის თვალში ამცირებს, — ეონტრრევოლუციათ უნდა ჩაითვალოსო. ამ მიმართულებას კიდევ უფრო გარკვევით და მტკიცეთ იცავენ თვით სარევოლუციო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ამ შემთხვევაში დამახასიათებელ ფაქტებს გადმოგვცემენ პეტროგრადის გაზეთები. ავიღოთ, მაგ., პეტროგრადის ქალაქის საბჭო. პეტროგრადის მთავარსარდლის თანაშემწემ, ცნობილმა რევოლუციონერმა, რუტენბერგმა, მოხსენება გაკეთა, სადაც აღნიშნავდა, რომ სასურსათო საქმე პეტროგრადში ცუდათ მიდის: არც მწყობრივი, სისტემატიური მუშაობა, არც საქმის ცოდნა, არც მუყაითობა იქ არ არისო. ბ-ნი რუტენბერგი დიდ დანაშაულათ აღიარებდა ქალაქის მედუქნეთა და მუშათა მოქმედებას, ის მედუქნეთა და მუშათა მოქმედებას, რომელნიც, შესრულდებათუ არა რვა საათის მუშაობა, დუქნებს ჯეტტავენ, ჭეტტავენ იმ დროს, როდესაც მშიერი ხალხი. რამოდენიმე საათობით, სდგას წვიმაში, იმის მოლოდინში, რომ იქნება გირვანქა პურის მიღებას ეღირსოს.

როგორ შეეგება პეტროგრადის ქალაქის საბჭო ამ მოხსენებას? უთუოდ მკითხველი იფიქრებს, რომ საბჭომ დიდი თანაგრძნობით და ყურადღებით მიიღო მოხსენება, გამოიკვლია მოხსენებაში აღნიშნული ფაქტები და მიზან შეწონილი ზომები გამონახა, რათა ხალხის აუცილებელი საჭიროება, შეძლებისადაგვარად, დაეკმაყოფილებია. სრულიადაც არა! საბჭომ საჭიროდაც არ დაინახა, შეეტყო, ეთანხმებოდა სინამდვილეს რუტენბერგის მოხსენება თუ არა. ქალაქის მოურავმა პირდაპირ განაცხადა: „საქმე ისაში კი არაა, რამდენათ მართალია მოხსენების ფაქტიური მხარეო, საქმე სულ სხვაშია, — ისაშია, რომ ქალაქის მეცხოვრენნი სურსათს თხოულობენ, ისათი სულიერი განწყობილება ნერვიულია, ოგინი მზათ არიან, ექსკესებს მიაყონ ხელიო, — და ამ დროს კი სამხედრო შტაბი ჩვენ აღელვებულ ხალხს მოგვისეცს (направливаетъ). ეს კონტრრევოლუცია არისო“. საბჭომ ეს — ცოტა არ იყოს, მეტი საღებავით შემზადებული — მოსაზრება იგულისხმა და დადგინა:

1) მოეთხოვოს დრ. მთავრობას, რუტენბუტგი სამსახურიდან გადაყენებულ იქნას და 2) ეთხოვოს სოც.-რევოლ. პარტიას, იგივე რუტენბუტგი პარტიისაგან გამორიცხული იქნას.

აი, რა მიმართულება, როგორც ვხედავთ, ძლიერდება დემოკრატის იმ ნაწილში, რომელსაც — შეიძლება ვთქვათ — დღეს სამმართველო სტე აქვს ხელში. რამდენად მიზანშეწონილია ეს მიმართულება?

იგი არ მოსწონთ არა თუ „ბურჟუაზიულ“, არამედ ზოგიერთ სოციალისტურ გაზეთებსაც კი. და ან კი რა მოსაწონია!

ერთი, რომ, რაც უნდა ვეცადოთ, ამ გზით მიზანს მაინც ვერ მივაღწევთ, ცხოვრების აწვავე მდგომარეობას მაინც ვერ გადავაფუჭეჩენთ. ამ პოლიტიკას ძველი მთავრობაც აწარმოებდა. მაგ., როდესაც რომელიმე გუბერნიაში შიმშილობა იჩენდა თავს, გუბერნატორები სამინისტროში ცნობების გზავნას დაუჭერბენდენ, ვითომდა ხალხი ყველაფერთ კმაყოფილიაო. და მთავრობაც თავის „Правительственный Вѣстникъ“-ში გამოაცხადებდა ხოლმე -სიცრუე არის, ვითომ ხალხი დამშეულიაო. მაგრამ ვიცით, რა შედეგი მოჰყვა ამ პოლიტიკას.

დღეს კიდევ უფრო დასაგმობია ამნაირი პოლიტიკა. ნუ თუ ახლა შეიძლება ვიფიქროთ, რომ დემოკრატია თვალახვეულია, ვერ მიხვდება და ვერ დაინახავს, რა ხდება მის გარშემო?!

მეორეთ, იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ რევოლუცია არ მთავრდება, გრძელდება, როდესაც სარევოლუციო ორგანოები ხალხის მოთხოვნილებას, მის საჭიროებას ვერ აკმაყოფილებენ და სასურველი წყობილება დროზე ხალხის ცხოვრებაში ვერ შეაქვთ. და როდესაც რევოლუცია აღარ თავდება, ამას

ყოველთვის საჭუბარო შედეგები მოაქვს. მოვიგონოთ ერთი გამოჩენილი რევოლუციონერის სიტყვები: „ეველდოთ, მეგობრებო, რევოლუცია დროიანთ დასრულდეს. ვინც რევოლუციას მეტათ აგრძელებს, ის მისი ნაყოფით ვერ სარგებლობსო“. მაშასადამე, საჭიროა დროზე დამყარდეს ცხოვრების სასუფველი წყობილება. და ეს კი მაშინ შეიძლება, როდესაც სარევოლუციო ორგანოების ნაკლულოვანებას აღენიშნავთ, მათ შეცდომებს, შეძლებისადაგვარად, გავასწორებთ. მაგრამ რანაირად შეიძლება გასწორების გზა ვუჩვენთო, თუ კი კრიტიკა აღკრძალული იქნებაᲐ?

არა, საქმიანობითი კრიტიკა ყოველთვის საჭიროდ იყო ნაცნობი, საჭიროა ახლაც! სიბნელეს ქვეყანა არაოდეს არ გაუკეთებია!

დ. ᲒᲣᲠᲣᲚᲘ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲣᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

დღეს ქუთაისში გაიხსნება დასავლეთ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის საგუბერნიო კონფერენცია.

ახლა არ ვილაპარაკებთ ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულების მრწამსის განსამარტავად.

ჩვენი მრწამსის დახასიათებას, მის მნიშვნელობას თვითონ ქართული ცხოვრება გეტყვითო.

არ გაგვიწევია ცხორე აგიტაცია, არ ავლენარულვართ პარტიული ვიწრო ფანატიზმით, მაგრამ ჩვენმა მიმართულებამ უკვე მძლავრათ გიდგა ფეხი ქართველ ერში.

ამას მოწმობენ სოფლური საქართველოს ჩვენსკენ გადმოიხარა, ჩვენი მრწამსის გაზიარება.

ეს არ გვიკვირს, ასეც უნდა მომზდარიყო რადგან ეროვნულ დემოკრატიული პარტია თვითონ ქართულმა ცხოვრებამ წარმოშვა. ჩვენ ვართ იდეოლოგები და მედროშენი არა სოციალისტურ კერძო მეკაუთრე საქართველოსი.

არ ვდგიეართ კლასობრივ საფუძველზე, სრულიად საქართველოს საკეთილდღეოთ აუცილებლათ მიგვაჩნია საქართველოს ეკონომიურ მამოძრავებელ ძალთა შეკავშირება გაერთიანება.

კლასობრივ ურთიერთობას არ ვარეგულირებთ, მაგრამ სანამ ასეთ კლასობრივ ბრძოლას შესაფერი პირობები არ მოჰზადებია მავნებლათ ეთვლიან ხელოვნურათ კლასობრივ ბრძოლის წარმოებას.

ერის ინტერესი უპირველეს-ზე ინტერესათ გვესმის, რომელსაც ყოველ გვარი პარტიული და კლასობრივი წადილი უნდა ენაცვალოს.

ვიკეთებთ იმას, რასაც აწინდელი ქართული ცხოვრება გეკადრებს, ვდგებართ იმ გზაზე, რომელიც დღეს გამოჩნდა ჩვენს ცხოვრებაში.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ გვაინტერესებს საქართველოს ბედი... და ყველას ვეძახთ მოუწოდებთ, რათა შეერთებულის ძალით აღდგენილ იქმნას ქართველი ხალხის უფლებები, დაკვიკვიდრეს პოლიტიკური თვისუფლება.

დროისა და გარემოების გარეშე ჩვენი მოდგაეწეოდა არ სწარმოებს.

დღეანდელი ჩვენი კონფერენციის მნიშვნელობა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისთვის განსაზღვრელია.

შემენტმა წ:მოაყენა უამრავი ძნელათ გადასაჭრელი კითხვები

ჩვენმა ცხოვრებამ თავდაცვა მოგვთხოვა.

რუსეთის რევოლუცია ანარქიად იქცა **და ბუმბერაზ** სახელმწიფოს წყლეკვას უქადის,

არა რუსელერები თადარიგს იკნრეენ საკუთარ სიცოცხლეს შესანარჩენელათ მედგრათ ამოძრავდენ.

ყოველი ჩვენგანი ასეთი გარემოებას დიდ ყურადღებას მიაქცევს.

გარდა ამისა ჩვენი კონფეერენციის უახლოესი პირდაპირი მიზანი არის ნორჩ პარტიის ორგანიზაციული შეკავშირება, სისტემის შექმნა, პარტიული მოქმედების ტაქტიკა, და პარტიული წესრიგი დისციპლინა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო არის დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის მზადება.

არჩევნებს საზოგადოთ ერთგვარი გაწყრთნა და სისტემატიზაცია შეაქვს პარტიულ ცხოვრებაში.

ჩვენი პარტია უნდა გამოვდეს მტკიცე რგნიზაციულიათ, და რკინის დისციპლინით.

ოშეიძლება რუსეთის დამფუძნებელი ყრილობის შეკრება არც კი მოხერხდეს, მაგრამ ჩვენს გამოსვლას ექნება საპრობაგანდო ხასიათი, როგორიც მთელ საქართველოს ხალხს გაგაცნობს და ორგანიზაციულათ და ვეაბლოვებს.

მივესალმებით პარტიულ ურილობას და უსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას სრულიად საქართველოს ხალხის საკეთილდღეოთ.

ირ — დი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ.

გაზ. „ერთობა“ თავის მეთაურში „ქართველი ნაციონალისტები და ეროვნული კითხვა“ გამოსთქვამს თავის აზრს ეროვნულ პოლიტიკის შესახებ. მოგვყავს ეს წერილი სავსებით.

ქართველი ნაციონალისტები დიდ ფაკა-ფუკაში არიან. ისინი ხედავენ, რომ სხვადასხვა ერები ირაზმებიან, რესპუბლიკებს აარსებენ, საერთო დემოკრატიულ საქმის ეთანშეებიან და დაწოლა-დებლათ ცდილობენ თავიის ცხოვრების მოწყობას. ასეთ გზას არ გაყვა ქართველი ხალხი, რომელიც სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით თავის ბედს უკავშირებს რუსეთის რევოლუციის გამარჯვებას. და აი ნაციონალისტები სოციალ-დემოკრატიას ეკვეთებიან და ყოველი ძალ-ღონით ცდილობენ ქართველი ხალხი აიყოლიონ და ავანტიურისტულ გზას დაადგონ.

ეჭვს **გარეშეა** უკანასკნელ დროს რევოლუციონური მოძრაობა აქა იქ შესუსტდა. სწორეთ ამით ახსნება წერილ ერთი ცდა თავისი ცხოვრება ახლად მოაწესერგონ. თუ ოდესმე საჭიროა თვითშოქმედება, ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ამხანათ, მარა თვითმა, მოქმედებაც ძნის და თვითმოქმედებაც ჩვენ მთელი თავისი ძალღონით მხარს ვუჭერთ ყოველივე ნაბიჯს, რომელიც ადგილმრივ რევოლიუციას ამტკიცებს და ბნელ ძალთა თარეშს შეაჩერებს უქადის. თუ რომელიმე ერი შესაძლებს არსებული ანარქიის მოსპობას და წესიერების აღდგენას, ეს, რასაკვირველია ყველა რევოლიუციონერი პარტიის მრავე სრულ თანაგრძნობას გამოიწვევს, მარა ის, რაც ამხანათ ხდება კერძოთ ჩრდილოეთ კავკასიაში, ეს ნიშნავს არა რევოლუციის გაძლიერებას, არამედ საზოგადოებრივ ძალთა გათიშვას. კაზაკები და მთიულები მორიგდენ, მარა ვლეხთა ინტერესები ფეხქვეშ გათელეს შედეგ „აღმოსავლეთ-სამხრეთ რუსეთის კავშირი“, მარა ის წიკოტინა ისეთ ტერიტორიას, რომელიც თან აკრავს საქართველოს და მასთან შეიერთოთ დაკავშირებულია ასეთია მაგ. სოხუმის ოლქი. ცხადია ეს გამოიწვევს ეროვნული შუღლის გაღვიძებას ა ქიშპის გაძლიერებას. სხვანაირად არც შეიძლება. ამ კითხვების გადაჭრა შეუძლია მხოლოდ საყოველთაო ნდობით აღსურვილ დაწესებულებას, როგორიც არის დამფუძნებელი კრება.

ეს ცოტაა. ასეთი რეპუბლიკების შექმნა კიდეე უფრო აძლიერებს საერთო არეგ-დარეგას. საზოგადოებაში ფეხს იკიდებს ირწმენა, რომ შესაძლებელი ის გაკეთო, რაც მოგესურვება. თვითნებობა იჩრდება, საერთო მოქმედება ჩლუნგდება. ეს რევოლიუციას ძარს უთხრის და მას დასამარებას ამზადებს.

ახლა ერთი ვიკითხოთ: განა ამგზით ვადაიკრა, ეთქვათ, უკრაინელთა „ნ ბელოროუსთა და კაზაკთა საკითხ? ოდნავაც არა. მართალია, მათ შექმნეს ეროვნული დაწესებულება, მარა ფაქტიურათ სახელმწიფო ძალაუფლებას მოკლებული არიან. უკრაინელი რადა სულდგმულობს იმ თანხით, რასაც მას დროებითი მთავრობა უმზადებს. ახლა სახეში მიიღეთ ის აღფოთება, რაც რუსეთის საზოგადოებაში უკრაინელთა სქე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

საგუბერნიო კონფერენცია

შაბათს, 28 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, გაიხსნება ქ. ქუთაისში.

კონფერენციის საგანი: 1. დამფუძნებელი კრების არჩევნები.

2. პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა.

3. საორგანიზაციო საკითხები.

დელეგატების წარმოგზავნის წესი: ქუთაისის გუბერნიის ქალაქები ჰგზავნიან ორ-ორ წარმომადგენელს, დანარჩენი პარტიული ორგანიზაციები თითო-თითოს.

ქალაქები ბათომი, ქობულეთი, სოხუმი, ოჩამჩირე მონაწილეობენ წერილობით წარდგენილ წინადადების თანახმად.

კონფერენციის მომწყობი: **ქუთაისის კომიტეტი.**

კავკასიის ლაშქრის საოლქო საბჭო.

თბილისი. ოქტომ. 26. კავკასიის ლაშქრის საოლქო საბჭო ცირკულიარ დეპეშით, რომელიც კავკასიის ლაშქარს და დროებით მთავრობას გაუგზავნა, სასტიკად ჰკიცხავს ბოლშევიკების გამოსვლას და ლაშქარს მშვიდობიანობისკენ მოუწოდებს.

ტელეგრაფი სარევოლუციო კომიტეტის ხელში.

პეტროგრადი. ოქტ. 25. პეტროგრადის დეპეშათა საავგუსტო იუწყება, რომ მოამხდარ ამბებზე ცნობებს ვერ მოგაწვდითო. საავგუსტო სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტს და შეიარაღებულ ძალას ჩაუდგია ხელში.

სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის მოწოდება

პეტროგრადი. ოქტომ. 24. სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტმა შემდეგის მოწოდებით მიმართა პეტროგრადის მცხოვრებლებს: „მოქალაქენო, კონტრ-რევოლუციამ წამოიყო თავი. კორნილოვის მომხრენი რაზმავენ ძალებს, რომ სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭოების ყრილობას ხელი შეუშალონ და დამფუძნებელი კრება ჩაშალონ. იმავე დროს მოქალაქეთა დარბევის მოწყობნი შეეცდებიან პეტროგრადის ქუჩებში ხოცვა-ელეტა გამოიწვიონ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო თვით დაიკავა რევოლუციურ წესს კონტრ-რევოლუციურ და დამრბევ გამოსვლებისაგან.

პეტროგრადიდან პირდაპირი მავთულით.

(დღვნობისთვის 25. 3 საათი და 30 წუთი).

ებლი ცენტრალ კომიტეტის სხდომაზე. სხდომას ესწრებიან ფრონტიდან ჩამოსული დელეგატები, უმეტესად ბოლშევიკები.

—

ტროცკიმ განაცხადა: იმედი მაქვს საქმეს უსიხლოდ გავთავებთ, რადგან ძალა ჩვენს ხელშია.

—

ბოლშევიკებმა აქტიური მოქმედება იწყეს. დიპჰირეს ნიკოლაევის ბიდი და ჯავშნიანი ავტომობილები ჩაამწკრივეს.

—

პავლოვის ბოლკი საზამთრო სასახლეის მახლობლად აჩერებს ყველას, იქერს და სმოლნის ინსტიტუტისკენ მიპყავს.

—

შეიპყრეს მინისტრი კარტაშევი და დროებით მთავრობის საქმეთა გამგე მალპერინი.

—

ბალტიის სადგური ბოლშევიკების ხელშია.

—

თუ ფრონტის ჯარი არ მოეშველება მთავრობა მთ საკუთარ ჯარით ვერ გაუმკლავდება.

თბილისში მოსული ცნობები.

მარინეს სასახლესთან მთავრობის ჯარსა ბოლშევიკების ჯარი უკუ აქცია.

—

მთავარ ბანაკიდან პეტროგრადისკენ კერენსკის თავის ერთგული ჯარი მიპყავს.

—

პეტროგრადში გამარჯვება ბოლშევიკების მხარეზე იხრება. მათ დაიპყრეს ყველა დაწესებულებანი. ფრთიერთობა მთავარ ბანაკის საშველებით სწარმოებს.

—

ზოგიერთი ცნობების მიხედვით საქმე მორიგებით გათავდება. მოსალოდნელია რეგიონ-ტრუქცია მთავრობაში.

—

კარტაშევი გაეთავისუფლებოთ.

—

კერენსკი მე-12 არმიაში იმყოფება.

—

კავკასიის სამხედრო ოლქის კომისარმა ვლადიმერ გორბოვამ რუსეთის ყველა და პუტატთა საბჭოებს დეპეშა გაგზავნა დეპეშებში, რომელშიც კომისარი მოუწოდებს ფიცრებს და ჯარისკაცებს, პირველ დანიშნულებაზე იფიცოთ ხელში გამოვიდნენ რევოლუციის დასაცავად.

ასეთივე დეპეშა მოვიდა პეტროგრადიდან მინისტრ თავმჯდომარის მოადგილის ი. კონოვალოვისაგან.

რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

ტერეშჩენკოს სიტყვა.

საგარეო მინისტრის კითხვაზე ასეთ ლისს მარცხნიდან გაისმის: „დაითხოვეთ, დაითხოვეთ!"

მინისტრთა ლოჟაში ადგილს იქერს პრემიერ მინისტრი კერენსკი.

ტერეშჩენკო ამბობს: პასუხს არ გაკცემ იმათ, ვინც კამათს დროს ამტკიცებდა, ვითომც საგარეო საქმეთა სამინისტრო დამცველი პოლიციის ფუნქციებს ასრულებდა ვითომ. პასუხს არ გაკცემ იმიტომ, რომ თვით ამბის მოქმედები იყვნენ ნათქვამის სიცრუეში დარწმუნებულნი. გარტვეულნდეზენი არამც თუ საგარეო სამინისტროში, არამედ ისინ არ ასრულებენ. ბაკფოს-ტენიგრანტებისთვის რუსეთში შემოსვლის აკრძალვის შესახებ მინისტრი ამბობს: „რუსეთში ემიგრანტების შემოშვების საკითხი სავსებით საემიგრანტო კომიტეტების ხელშია. თუ რამე დაბრკოლება მოხდა ემიგრანტების დაბრუნებაში, ეს იმიტომ, რომ საერთოდ უცხოეთიდან მომავალ გემთა რიცხვი ერთიმ შემცირდა და ამასთანავე აუარებელი ტვირთვის გადმოსადგა აქვს დაკისრებული ამ გემებს. ემიგრანტთა შესანახად უცხოეთში რევოლუციის დაწყებიდან გაიზარდა 5 მილიონი მანეთი და საგანგებოდ გაიგზავნა სოციალისტ-რევოლუციონერი, ცენტრალ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი რუბანოვიჩი. ჩემის თანხლობით დროებითმა მთავრობამ დადგინა: მხოლოდ ევროპიელის ბიზნესმენზე მომავალი ემიგრანტები არ გამოუშვან" ეა ამას მე არ ვმალავ (მარჯვნივ ტაში, მარცხნივ იძახიან: „ერთიმ გვიანაა!") რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ ჩვენი საკარეო პოლიტიკა არ იყო გამიფული და ბიდ-პირი, უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა სავსებით დამოკიდებული იყო სახელმწიფოს შინაგან ცხოვრებაზე და სწორედ უკანასკნელი ჰქონდა ადგილი დიდ ზიგზაგებს და ცვლილებებს! მაშინ, როდესაც ჩვენ მტკიცედ ვიდექით რევოლუციის დასაწყისში დაპყრობილ პოზიციაზე ხვა ორგანიზაციებმა დასთმეს თავისი პოზიციები. ივლისის 3 - 5 ის გამოსვლების და ჩვენი დამარცხების წინ ზავის ჩამოგდება ადვილი იყო. სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს პოზიციას არ დავთმობთ. „ეზარობა იქნება ვიფიქროთ, რომ ჩვენ მოკავშირეებს არ უნდოდათ ზავი, მხოლოდ ჩვენი მეხედულებას. დაპყრობილ პოლიტიკა მიწინაალმდეგე საბჭოებს უნდა „ეარჭყონ. ჯარის აღსადგენად საჭიროა 2 პირობა: ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ, რომ არ არის ღვთის ანაბარად მიგდებული ის ჯარი, რომელიც ყველას სძაგს. საჭიროა აგრეთვე ყველა მას, ვინ კ საზღვაოგარეთ ეყავ, სულ ერთია, საგარეო მინისტერი იქნება ის თუ ეროვნულ დემოკრატიის წარმომადგენელი. ერთი მიზანი ჰქონდეს და ერთი მთლიანი მისწრაფება გამოცხადოს (ტაში) ჩვენ, მთავრობის წარმომადგენლებს არ ვვინაობ ინფორმაციას თავი, რასაც გერმანელები მუდამ დღე სწერენ თავის გაზეთებში რუსეთის შესახებ: „რევოლუციამ ოუსტიკი ლმარტ ეროვნულ ეიეკანა".

მინისტრ ტერეშჩენკოს სიტყვის შემდეგ საგარეო პოლიტიკის შესახებ კამათი შეწყდა. საბჭომ ითათბირა ომის შესახებ, რომ დროებითმა მთავრობამ აქამდის არ აცნობა მოკავშირე სახელმწიფოებს რუსეთში რესპუბლიკურ მართვა-გმეგობის დამყარება. ამ საკითხზე გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ ახსნა-განმარტების შემდეგ, საბჭოს უმრავლესობამ მიიღო უბრალო გადაწყვეტილება ორნიკ საქმეებზე. საგარეო საქმეთა მინისტრის ახსნა-განმარტებას მინისტრ თავმჯდომარე კერენსკიც დესწრო. საბჭო შეუდგა იმ საკითხის განხილვას, თუ რამდენად საჭიროა ოუსტიციის და მიწათ მომქმედების მინისტრებისადმი მიმართვა საადგილ-მამულო კომიტეტების ზოგიერთა მოღალატის სასამართლოში მიცემის გამო. საკითხს საჭიროდ სკნობს სოციალისტ-რევოლუციონერი კარელინი; წინადადებანი კადეტი აჯემოვი. ხმის მიცემის დროს ქვორუმი სრულიად არ ადმოჩნდა. მარტოვის პირად შეკითხვის გამო ახსნა განმარტებით სხდომა სადაშის 7 საათზე და 5 წუთზე დაიხურა.

მსოფლიო ომი.

ბ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

იტალეთის ფრონტის გარღვევა

რომი. ოქტომბერის 23. ოფიციალი ტერი ტალიმენტოს მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდა და მარცხენა ფრთას უტევს.

რომი. ოქტ. 24. ოფიციალი. გერმანელებმა არამც თუ გაამაგრეს მოქმედება ზემო ტალიამენტოში, არამედ ჯარი ტალიამენტის დაყოლეს და მის ქვემო ნაწილისკენ მოპყავთ. ტალიამენტოს სამხრეთ აღმოსავლეთით მტრის ზოგიერთა მოწინავენი გრენადიერების მრეგადებს მოუახლოვდნენ, მაგრამ მოვიგერიეთ. ახალ მოსაგერიებელ ბაზისათვის მთიანი ალაგი დადგა ალეთ. ალაგი მტერმა დაიპყრა.

სერბეთი და იტალეთი

კორფუ ოქტ. 20 (დაგვიანებულია). იტალეთის ახალმა მინისტრმა ორლანდომ და სერბიის მინისტრ თავმჯდომარე პაშიჩმა მოამზადარ ამბების გამო დეპეშებით იქონიეს ახრთა გაცვლა გამოკვლა აღნიშნავენ ორივ ერის კავშირს და შეურყეველ იმედს გამოსთქვამენ მტერზე გამარჯვებისას.

არჩევნებისთვის.

პარტიული ორგანიზაციული მუშაობა დღეგანდელი აუტანელ პირობებში აუარებელ ხარჯებს მოითხოვს.

გარდა ამისა უკვე კარს მოგვადგა დამფუძნებელ კრების არჩევნები.

ეროვნულ დემოკრატიული პარტია მოვალეა არჩევნებში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს, რათა შეაძლებინოს ხალხს, გამოსთქვას თავისი მისწრაფება: საქართველოს თავისუფლება და ისეთი წესწყობილების დამყარება, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებს არსებითად შეეფერება.

საარჩევნო კომპანიის გაწევა პარტიისგან მეტად დიდ ნივთიერ ხარჯს მოითხოვს.

ამისთვის მიმართავთ პარტიის ყველა წევრს და თანამეგრძნობს, შემოიტანონ პარტიის კასაში შეძლების დაგვარად თავისი წვლილი.

1) ბ-ნ ივანე პეტრადაშვილთან ეზოვდნის კომერციულ ბანკში.

2) ბაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში, თბილისის ქ. ს. მიქელაძის სახლი.

გასწიეთ ყველგან აგიტაცია საქართველოს ეროვნულ დემოკატიულ პარტიის სასარგებლოდ!

ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს! ყოველი შემოწირულება, რა რიგ მცირედაც არ უნდა იყოს იგი, საერთო საქმისათვის მეტად ძვირფასია.

ქუთაისის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა.

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

საქართველოს **ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საგუბერნიო კონფერენცია.** დღეს, 28 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე საზოგადო საკრებულოს ზედვი სართულში გაიხსნება საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის საგუბერნიო კონფერენცია. კონფერენციის საგანი:

1) დამფუძნებელი კრების არჩევნები, 2) პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა, 3) საორგანიზაციო საკითხები. კონფერენციაზე ქუთაისის გუბერნიის ქალაქები გზავნიან ორ-ორ წარმომადგენელს, დანარჩენი პარტიული ორგანიზაციები თითო თითო წარმომადგენელს.

✦ **ქუთაისის საგუბერნიო** სასურსათო სამმართველოს ატყობინებს ადმასრულებელ კომიტეტს, რომ ქუთაისის ფოსტაში გაგზავნილ ამანათების შესამოწმებლათ დანიშნეს სასურსათო კომიტეტიდან განსაკუთრებული ცენზორი, რომელიც თქვენს ცენზორთან ერთად შეთანხმებით იმუშავებსო.

✦ **საკონლის ჩუმათ წაღება.** ამიერ კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი ატყობინებს ქუთაისის საგუბერნიო კომისარს, რომ რუსეთიდან დიდძალი საკონელი გაიაქვთ სპარსეთში და თქვენ საშვალება მიიღეთ რომ ქუთაისის გუბერნიიდან არაფერი იქნეს გაზიდულიო.

✦ **ი. კაკიტელაშვილის შესახებ.** კავკასიის საოლქო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე არდაშელი სთხოვს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რომ რადგანაც ი. კაკიტელაშვილს დამბადებული ჰქონია ყალბი მოწმობები და ქუთაისიდან სხვა და სხვა საკონელი გაჰქონდა, განკარგულება გაეცით რკინის გზის სადგურების საყურადღებოთ, რომ ყოველგვარი საქონელი ი. კაკიტელაშვილის დაკავებული იქმნას.

✦ **დამფუძნებელი კრებისათვის,** დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობი ამიერკავკასიის ცენტრალური კომისია სთხოვს ქუთაისის საგუბერნიო კომისიას, რომ რკინის გზის მოსამსახურეებისათვის დაარსოს ცალკე საამომრჩეველო უბნები იმ ადგილებში, სადაც რკინის გზის „დეპოებები არის, რომ ამით რკინის გზის მოსამსახურეებს საშვალება მიეცეთ ხმის მიცემისა.

✦ **მიტროპოლიტის წასვლა.** გუშინ დილის მატარებლით ღვიმეგის, ჯრუჭის და კაცხის მონასტრების დასათვალიერებლათ გაემგზავრა ქუთაისელი მიტროპოლიტი ყოველად სამღვდელო ანტონი. დღეს მწირველი იქნება ღვიმეგში, კვირას კი სარჩეულში. ყოველად სამღვდელო მიტროპოლიტი ქუთაისის დაბრუნდება სამშაბათს.

✦ **ქუთაისის სამაზრო** სასურსათო კომიტეტი სთხოვს ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას ირიჩიოს საბჭოს სხდომაზე ორი წარმომადგენელი და გაგზავნოს სამაზრო სასურსათო კომიტეტში.

✦ **საადმინისტრაციო საქმეები.** ქალაქის თავდაცვის კომისიამ მიმართა ქუთაისში არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიებს, რომ გაგზავნოს სიები როგორც მილიციონერების კანდიდატებისა, ისე მილიციის უფროსისა, საუბნო კომისრებისა და მათი თანშემწეებისა.

✦ **დამფუძნებელი კრებისათვის.** დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობი ქუთაისის ქალაქის კომისია უკვე შეუდგა იმ განცხადებების განხილვას, რომელნიც ქუთაისის მოქალაქეებმა შეიტანეს სიებში გამოტოვებისა და სწორათ შეტანისათვის.

✦ **სასწავლებელში.** ქართული გიმნაზიის პეტაგოგიურმა სხდომამ 26 ოქტომბერს სხდომაზე დადგინა: —

1) [illegible] ლი ეგზამენები ქონდათ [illegible] პირველი ნოემბრამდი ეგზამენზე არ გამოცხადდებინან, 1 ნოემბრიდან გიმნაზიიდან [illegible] და თან სწავლის გადასახადიც არ წარმოადგენს, 5 ნოემბრიდან ისინი გიმნაზიიდან გამორიცხულათ ჩაითვლებიან და ხელახლა მათი მ ღება—ი ისინ აუცილებლათ ეგზამენნი—პედაგოგიურ საბჭოზე იქნება დამოკიდებული.

✦ **სათესლე ზორბალი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ამ დღეებში დ. შორაპანში მიიღებს 10 ვაგონ სათესლე ზორბალს. აქედან თითო ვაგონი გაიგზავნება ჭიათურაში და სარჩეულში, 2 ვაგონი ზესტაფონში და 6 ვაგონი კი ქუთაისში.

✦ **გაძარცვა.** სასტუმრო „ორიანტს" პატრონმა ცენტრალური უბნის კომისარს განუცხადა რომ მას მოპპარეს სხვადასხვა საკონელი, რომელიც ეკუთვნოდა სეფერთის ქოოპერატიული საფაქრს.

✦ **სურსათის გამოლევა.** ზუგდიდის ქალაქის მოურაგის მოადგილე ალექსანდრაშვილი ატყობინებს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რომ ჰური გამოლევის გამო ტუსაღები, ჯარის კაცები და ცაზაკები შიმშილს განიცდიანთ.

✦ **ჰური** სასურსათო საქმეთა კავკასიის რწმუნებული ბინი სასურსათო კომიტეტს ატყობინებს რომ 10 ოქტომბრიდან ბალაჯარიდან ქუთაისისათვის გამოგზავნილია 4 ვაგონი ფქვილი და 14 ვაგონი ზორბალი. ნოვოროსიისკიდან უკვე გამოიგზავნა 25 ვაგონი ჰურის ზორბალი და განკარგულება გაეცა, რომ ბალაჯარიდან გამოიგზავნოს 10 ვაგონი ქერი.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

ქ. **ზუგდიდი.** კაზაკებმა გასტეხეს თავად მანგრელსკის სასახლე, სადაც ინახებოდა ძველი ისტორიული ნივთები, წაიღეს სხვადასხვა ძვირფასი ნივთები.

— ქ. **სამტრედია.** შაბათს 21 ოქტომბერს საკართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამტრედიის რაიონის კომიტეტმა ლექციის კითხვა გამართა. მოწვეული იყვნენ ქუთაისიდან. ია ეკალაძე და ალ. თორძე. ლექციას ხალხი ბლომათ დაესწრო. ლექტორებმა მთავარი ყურადღება მიაქციეს მიწის საკითხს, ჩვენში არსებულ პარტიათა შეხედულებას ამ საკითხზე და დაუმტკიცეს დამსწრეთ მათი უვარგისი შეხედულება და შეეფარდება მათი თეორიებისა. ბოლოს უნდა გამართულიყო კამათი მაგრამ არაფინ გამოსულა.

— **ს. დიხაშხო** ვასილ შალამბერიძემ დანით სასიკვდილოთ დაჰკრა თავის მეზობელი ვ. სუპატაშვილი.

— ქ. **ლანჩხუთი.** ამ დღეებში მოხდება საქალაქო არჩევნები.

— **ს. ხუნევი.** ადგილობრივმა საუბნო სასურსათო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წინაშე, რომ გამოუგზავნოს 800 ფუთი სიმინდი.

ქედა აკარა.

— **ს. ქედა.** 20 ოქტომბერს ს. ქედის კომისარს საკეიზო მოხელემ დაუჭირა 4 ოყა დაკრილი თუთუნი.

ორ თვეზე მეტია რაც ქედაში საქველმოქმედო საზოგადოებამ აქ ხალხში დასაარგებლათ სხვა და სხვა საჭირელი გამოგზავნა. მაგრამ ხალხისათვის ჯერ კიდევ არ დაურიგებია. აბის გამო ხალხში უკმაყოფილებაა.

თ ბ ი ლ ი ს ი.

— **ქართული სამხედრო კორპუსი.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი დაეშვა მიიღო სამხედრო მინისტრისაგან, ქართული და სომხური სამხედრო კორპუსების მოწყობის წინააღმდეგი არა მაქვს

რაო, განკარგულება ამ კორპუსების შედგენის შესახებ განხორციელდება, როცა ამნი თუ იმ ფრონტიდან ქართველი ჯარები ჩამოვლენ და მათ ნაცვლად რუსი ჯარის კაცები გიგიზგიზენენ.

— **საერობო რეფორმები.** ოქტომბრის 25 ს. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტში დაიწყო თათბირი საერობო რეფორმების განხორციელების შესახებ ამიერკავკასიაში.

— **ხმები ჯარის შესახებ.** ოქტომბრის 25-ს, თბილისში ხმა გავრცელდა, რომ ფრონტიდან თბილისისაკენ მოდის მხედრობა ერთ-ერთი დივიზიონი, რომელიც ბაქოში ყველაფერს იკლებს და არაფერს ზოგავსო. ზოგიერთი მოქალაქე ამ ამებით დაშინებული სოფლად ხიზნავს თავის ცოლ-შვილს.

— **რუსთაველის სრულუფლებიან ქალ-ვაჟთა გიმნაზიაში,** რომელიც ამ ჟამად მოთავსებულია ქართულ გიმნაზიის შენობაში, სწავლა დაიწყო 2 ამა ოქტომბერს. სწავლის უფრო მკვიდრ ნიადაგზედ დასამყარებლად სასწავლებლის დამაარსებლებმა წელს გახსნეს მხოლოდ საანბანო, პირველი და მეორე განყოფილებები.

— **ტრაპეზონში მიმავალთა საყურადღებოდ.** ბათომში უნდა გამოეცხადოს ბათომის კომენდანტს და წარუდგინოს მას თავისი ვინაობის ქადაღდი ფოტოგრაფიული სურათით, კომენდანტი მისცემს მას მგზავრობის ნებართვის ქადაღდს, უროლოსოდ სატრანსპორტო გემი მგზავრს არ დებულობს. თუ იმ დღეს ტრანსპორტი არ იმყოფება ბათომში, მგზავრს ნებას აძლევენ კომენდანტი ღამე გაათიოს აფიცერთა საერთო ბინაზე, რაც დღე-ღამეში გადახდება 1—40 კაპ. და სადილში 1—60 კაპ. მგზავრს იქვე ჩაისა მისცემენ, მხოლოდ შაქარი თავისი უნდა ჰქონდეს. ბერის ბარათს მგზავრი საკომენდანტოში მიიღებს.

არჩევნები საეკლესიო კრებისა რომელიც დასრულდა 26 ოქტ.

საბჭოში იყო ასარჩევი ორი ჯამაგირიანი წევრი და ოთხი უჯამაგირო; ჯამაგირიანი წევრების კანდიდატად დასახელებულ კანდიდატებში ყუთი დაუდგეს სან პირს: დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილს, სიმონ ამირეჯიბს და თეოფილე ხუსკივაძეს. თეოფილე ხუსკივაძემ მიიღო 41 თეთრი 7 შავი, სიმონ ამირეჯიბმა 33 თეთრი და 17 შავი, დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილმა 23 თეთრი, 26 შავი. ამ რიგად ამორჩეული იქნენ ხუსკივაძე და ამირეჯიბი.

უჯამაგიროო წევრების კანდიდატად დასახელებული იყვნენ:

დეკ. ივლიანე აბესაძე, მღვდელ-მონაზონი ონოფრე, ტრიფონ ჯაფარიძე, იერონიმ არსენიშვილი, სამსონ ყიფიანი, აკაკი ღამბაშიძე, მღ. თომა დუგლაძე.

ტრიფონ ჯაფარიძემ მიიღო 35 თეთრი 9 შავი, იერონიმე არსენიშვილმა 33 თეთრი 11 შავი სამსონ ყიფიანმა 32 თეთრი 12 შავი მღვდ. მონაზონმა ონოფრემ 29 თეთრი 15 შავი, დეკ. ივლ. აბესაძემ 27 თეთრი 17 შავი, თომა დუგლაძემ 21 თეთრი 23 შავი, აკაკი ღამბაშიძემ 19 თეთრი და 25 შავი. ამ რიგად ამორჩეულ იქნენ: ტრიფონ ჯაფარიძე, იერონიმ არსენიშვილი, სამსონ ყიფიანი და მღვდელმონაზონი ონოფრე. კანდიდატებად დეკ. ივლ. აბესაძე და თომა დუგლაძე.

—

სასამართლოს წევრობის კანდიდატად დასახელებულნი იყვნენ:

მელ. კელენჯერიძე, ნიკო რაზმაძე, მღ. იასონ აბესაძე, იაკობ ცინცაძე, ივანე პეტრადაშვილი, მთავარდიაკონი ის. სვანიძე და მედვანიენე გიორგი ჭუმბურიძე, მელიტონ კელენჯერიძემ მიიღო 39 თეთრი, 5 შავი; იაკობ ცინცაძემ 38 თეთრი, 5 შავი; ივანე პეტრადაშვილმა 36 თეთრი, 8 შავი; ნიკო რაზმაძემ 36 თეთრი 9 შავი; ისიდორე სვანაძემ 24 თეთრი, 20 შავი; გიორგი ჭუმბურიძემ 20 თეთრი, 24 შავი; მღ. იასონ აბესაძემ 17 თეთრი, 27 შავი; ამრიგად ამორჩეულ იქნენ მელიტონ კელენჯერიძე, იაკობ ცინცაძე, ივანე პეტრადაშვილი, ნიკო რაზმაძე, ისიდორე სვანიძე. გაშვებულ კანდიდატთა მაგიერ მეექვსე წევრად არჩეულ იქნა უკანასკნელი მღვდ. იოსებ ფეროელი, კანდიდატებად მედვანიენე პლატონ ჯიშკარიანი და ნიშნიანიძე.

ხმა გრძოლის ველიდან.

(პროტესტი ქუთაისის დარბევის გამო)

გაზეთ "ჩვენი ქვეყნის რედაქციას.

ბატონო რედაქტორო!

გრთხოვთ თქვენ პატივცემული გაზეთის ახლო ნუმერში მოათავსოთ შემდეგი წერილი.

გაზეთებმა მოგვითანა ალმაშფოთებელი ამბავი ქ. ქუთაისის დარბევისა.

ჩვენ მე-16-ე თურქესტანის მსროლელთა „სიკვდილის" პოლკის ქართველი ჯარის კაცნი, ოფიცრები და ეკიმი დიდათ აკვიდღლეა და სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო ამ უმგვანო პროვოკაციულმა მოკლეენამ, რის გამო დღეს 15 ოქტომბერს ვიქონინეთ მსჯელობა: ეცხადებთ ჩვენ გულის წყრომასა და ზიზღს იმ ნაძირალთა ბრბოს რომელიც არბევდა აწოკებდა ქალაქს და შიშის ზარს სკემდა მშვიდობიან მცხოვრებთა.

ამასთანავე დიდათ გვაკვირვებს ქუთაისის გარნიზონის უმოქმედობა.

ნუ თუ მას არ მოეპოვებოდა იმოდენა ძალა, აელავმა მხეკ კცთა ბრბოს?!

მაგრამ რა უყოთ?!

ვიმედოვნებთ კი შემდეგში არ განმეორდება ასეთი სისაძაგლე.

ჩვენი მოწინავე პოლიტიკური პარტიები და ბ. გუბერნიის კომისარი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ამ უმედოო შემთხვევას და ყოველივე ღონეს იხმარენ, გაადევნონ ქ. ქუთაისიდან ავაზაკთა ბრბო, რითაც ჩამოგდებენ მშვიდობიანობას სამშობლოში და ჩვენც სამშობლოდან შორს მყოფ მეობართ ხელს შეგვიწყობენ, პირნათლათ შეავასრულოთ ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა სამშობლოსა და რევოლუციის წინაშე.

ამხანაგების მონდობილებით: ექიმი **გრ. ციცაშვილი,** პარუჩიკი **აკაკი მიქელაძე** პრაპორშჩიკი **ივანე წულუკიძე.** ჯარის კაცნი: **მსუქნისშვილი პაგარაია და თავბერიძე.** 1917 წ. 15 ოქტომბერი კიკავის ბრძოლის პირი.

ქუთაისელ მასწავლებელთა საყურადღებოთ.

დასავლეთ საქართველოს ქართველ მასწავლებელთა კავშირის გამგეობამ 25 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა, ახლო მომავალში მოაწყოს ქ. ქუთაისში მყოფ მასწავლებელთათვის საღამოობითი ქართული ენის მოკლე ვადიანი კურსები, რომელზედაც შეუძლიათ დასწრება, როგორც საშუალო, ისე დაბალ სასწავლებელთა მასწავლებლებს ლექტორებად მოწვეულნი იქნებიან სპეციალისტები. კურსების მოწყობას დასჭირდება დაახლოებებით 300 400 მანეთამდი, რომელსაც განაწილებთან გამოიღებენ ქუთაისში არსებული საშუალო და უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთა პედაგოგიური სპეციალ სასწავლებლის პედაგოგიურ-საშუალებლიდან. (დაახლოებით 25—40 მანეთამდი). ყველა დამეთანხმება, რომ ასეთი კურსები მეტად საჭიროა და სარგებლობას მოუტანს მსმენელთა, ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მასწავლებლნი თანგარძნობით შეხვდებიან კურსების გახსნას. კურსების გახსნის დრო გამოცხადდება.

გამგეობის მდივანი **ვლ ნაცვლიშვილი.**

მოწერილი ამბები.

სოფ. სვირი.

(დასასრული).

სამართლიანობას მოითხოვს ვსთქვა: რომ თავმჯდომარე ცდილობდა კრებას რაც შეიძლებოდა რიგიანად ჩაეკლო და სამართლიანად იქცეოდა, მაგრამ ვერას გახდა და როგორც გავიგეთ, საყვედური კი დაიმსახურა თავისიანებისა, პირველი ნაბიჯი ეს ქ. ლომთათაძემ (ეროვ.-დემ.) წარმოსთქვა, მაგრამ წამ და უწუმ აწყვეტინებდენ. ბოლოს მეტის მეტათ შეაკვეცინეს სიტყვა და ოცი წუთი მისცეს სალაპარაკოთ. ასე გასინჯეთ, რომ თვით ილია ცხადადაე, რომელიც თავმჯდომარეთ უნდოდათ გაეყვანთ ს. დ. ეს და რომელსაც, მაშასადამე წესრიგი უნდა დაეცვა, არ აძლევდნენ საშუალებას ორატორს მოლიანი შეთანტვლილები მოხდინა. ლომთათის საპასუხოთ გამოვიდა ს. დ. გამრეკელაშვილი; ამან საკითხის დედა ბოძს გვერდი აუარა, რადგან აქ უმწეო იყო და ს. დ. მის ცოდვები ეროვნულ დემოკრატებს მოახვა კისერზე. ლომთათაძემ აღნიშნა, რომ სოც. დემოკრ. დიდი მეთაურები გლეხებს, როგორც სინამდვილეშია, პროლეტარებს მოწონაადმდეგეთ, მტრებათ სთვლიან. გამრეკელაშვილმა დანაშაულად დასახა, დაგვმო ამის განცხადება. ბატონებო! თუ ამის თქმა დასაგმობია, ს. დ. მეთაურები უნდა დაგმოთ, რადგან ისინი ამბობენ ამას: ლომთათაძე ხომ არ მოგონია! მან ეს მითომ აღნიშნა, რომ სოც.-დემოკრატები ამას ყოველთვის ფარავენ და ხალხს არ ეუბნებიან. შემდეგ გამრეკელაშვილმა დიდ ხანს ილაპარაკა იმაზე, რომ ქართველმა, თუ საქართველო ახსენა, ეს ძალიან დასაგმობია, რადგან მისი აზრით ქართველი, სომეხი, თათარი, რუსი და სხვა სულ ერთია: ყველას ჭამა უნდოო. თუ ასე ვიმსჯელეთ, ბატონო, მაშინ მლეველიც და ქართველებიც ერთი იქნებიან, რადგან მგლებს, რომ ჭამა ძალიან უნდათ, ეს ყველამ იცის. ეროვნული დემოკრატების შესახებ ბ. გამრეკელაშვილმა სულ ურცხვათ გასჭედა პატალო მან სთქვა, რომ ეროვნულ დემოკრატების პროგრამით სახაზინო და სამინისტრო ადგილებიც ფასით უნდა შეიძინონ გლეხებმა. ჩვენი პროგრამა კარგათ უნდა იცოდეს გამრეკელაშვილმა, თუ ჩვენზე ლაპარაკი უნდა, ყოველ შემთხვევაში არ ეპატივება ასე დაეინებით იმაზე ლაპარაკი, რაც არ იცის. სახაზინო და სამინისტრო ადგილების შესახებ ჩვენი პროგრამის მე 14 და მეთუთხმეტე გვერდზე სწერია სიტყვადან სიტყვამდი შემდეგი. „1)" ყოფილ სახაზინო გლეხები ყველა, ის მიწები (სახლ კარი ენანახი სახნავ სათესი, ტყე, საძოვარი მთა და სხვა, როგორც საკომლო ისე საზიარო სათვლო, რომელიც მათ მფლობელობაში იყო და არის აღიარებულ იქმნას სრულს მათ საკუთრებათ და მოისპოს ამ მიწებზე ყოველგვარი განსაკუთრებული (სახელმწიფო საჯარო) გადასახადი. შენიშვნა 1) ამაეე წესით სამაჰმადიანო საქართველოს მიწაწყალი, რომელიც რუსეთის ძველმა მთავრობამ სახაზინოდ ჩახიცხა, აღიარებულ იქმნას ამ მეკეთრთა სრულ საკუთრებად და მოისპოს აგრეთვე ამ მიწებზე ყოველგვარი განსაკუთრებული გადასახადი. შენიშვნა მეორე აფხაზეთის და ზაქათალის მიწის საკითხი უნდა გადაწყდეს თანამშად ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილისა.

2) ყოფილ დროებით ვალდებულ გლეხთა ყველა ის მიწა, რომელიც მათი საკუთვნოა (სანადელო მფლობელობა) აღიარებულ იქმნას სრულ მათ საკუთრებად და მოისპოს ამ მიწებზე გამოსასყიდი და ყოველგვარი განსაკუთრებული გადასახადი 3) ხიზნები, მოიჯარადრები და მეკრე მაუღიანი მიწის მუშები დაუბრკოლდეს ჰფლობენ იმ მიწას, რომელიც მათ უჭირავთ. ეს მიწები თუ კიდევ სხვა ახალი მიწები ავტონომიის ფონდიდან მათ მიეზომებიან და დაუმტკიცდებთ სრულ საკუთრებად იმ ნორმით და წესით, რომელსაც საქართველოს ეროვნული კრება შეიმუშავებს.

4) ამას გარდა. ყველა დანარჩენი. სახაზინო და საუფლისწულო მამულები გადაეცემა საქართველოს ავტონომიას.

გვგონია, რომ ეს ტაეილი უცოდინარობის გამო კი არ მოსულია გამრეკელაშვილს, არამედ განგებ უნდოდა მოწინააღმდეგე ამ ტაეულით გიეშვებია.

ლომთაძემ მოიყვანა ნოე ჟორდანიას აზრი იმაზე, რომ გლეხები მხოლოთ ბეგებრობის გამო არიან სოც.-დემოკრატების ბანაკში და რომ გაეგოთ მათი მისწრაფება, მათი სურვილი, მათი პროგრამა, მათკენ „ფეხსაც არ გადადგამდენ" ეს სოციალ-დემოკრატებისთვის, რა თქმა უნდა, არ იყო სასიამოვნო, მით უმეტესად, რომ ლომთაძეს ნოე ჟორდანიას წიგნაკი თან ჰქონდა და წაუკითხა ხალხს. გამრეკელაშვილმა იწყინა. მისი დასახელება, თითქო ჟორდანია ვინმეს გაეკიცხოს და ბოლოს სთქვა, აი ამ უკანასკნელმა ორმა სიტყვამ გამოაშკარავა „დიდი ორატორული ნიჭი" გამრეკელაშვილისა. ამის შემდეგ მისი ბადალი მართლა ძნელათ თუ სადმე მოიპოვება. სვირელმა სოციალისტებმა იგი მხურვალე ტაშით დაჯილდოდეს. შემდეგ ჩაწერილი იყო ამბროსი პიროველი—სვანი, მაგრამ ეს სრულიათ არ ალაპარაკეს. ეს კრება ტიპიურ კრებათ უნდა ჩაითვალოს ჩვენ ბედკრულ ქვეყანაში. ვნახოთ, რამდენ ხანს შესძლებენ სოფლის ეხლანდელი მეთაურები ხალხში განუკითხავად მოკმედებას. მწადს რომ მუდამ ამას ვერ შესძლებენ. სვირში და ბეკრგან სხვაგან მოწმობას იმისთვის, რომ იშოვის ტყის მომბდარი ამისთანა ამბები მე ამ რწმენას მიმტკიცებენ.

მაშ, წინ, წინ, ამხანაგებო! ვიცით რომ „მართალის მთქმელს ენა მოსჩრესო, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ „თქმა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად"ო.

გლეხი.

—

სოფელი ხიდისთავი (გურია).

„თხმ ესნუკრე ნახა და სახტომი არ „ეაუშინჯალ"— სწორეთ ეს ითქმის ხიდისთავის ფროვინთი აღმასრულებელ კომიტეტზე. აკაური აღმასრულებელი კომიტეტი შესდგება ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მიერ არჩეულ პირებიდან. კომიტეტის არჩევნი საზოგადოებას წილი არ უდეკს. მისი მართვა-გამგეობა სწორეთ რომ გასაკვირია; ნაცვლათ იმისა, რომ ჩაიხედოს თვით ხალხის გულის სილრმეში და ხალხის გულის ნადებს ყურადღება მიაქციოს, დამოუკიდებლათ აწარმოებს საზოგადოების საქმეებს. ამნაირ მართვა-გამგეობას ეწოდება „ბასოლუტური", რომელსაც დღეს ადგილი უარ უნდა ქონდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ჩვენ ვამბობთ, რომ კანონმდებლობა უნდა იყოს დემოკრატიული, ხელმძღვანელობეს უნდა ირჩევდეს დეკოკრატია და არა რომელიმე ერთი პარტიული ორგანო; ხალხის მიერ არჩეული მთავრობა უნდა ეშორჩილებოდეს მთელი საზოგადოების ინტერესებს და არა რომელიმე პარტიის წევრებს. მაგრამ სამწუხაროთ, ასეთ მართვა გამგეობას ჩვენს სოფელში ადგილი არა აქვს. თუ კი რომელიმე სოფელი წევრი სოციალ-დემოკრატი არ არის, თუ კი ის სხვა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნის, თუ გინდ ის კარგი საქმის მცოდნე? მოკეთე იყოს საზოგადოების, მათი შეხედულოთან ის ვერ უნდა შეეიდეს სახალხო დაწესებულებაში. ამის მაგალითები ბეგრია. სხვათა შორის მოვიყვან ერთ მაგალითს: ერთი ტყის მკეკი ა. გ—ძე ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის წინადადებით სრულიათ უდანაშაულოთ სამაზრო კომიტეტმა სამსახურიდან დაითხოვა. რომ ამ კაცს დანაშაულობა არ მიეთქვლოდა, ეს იმიდგან სჩანს, რომ ხსენებულმა კომიტეტმა მას კეთილ-საიმედობის მოწმობა ნისცა. ეს მოწმობა მე თვითონ წავიკითხე; ამას შემდეგ გავიდა ერთი თვე და ხიდისთავში დაარსდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და ეს გ-ძე ჩაეწერა ამ პარტიაში. სამწუხაროთ აქაც იჩინა თავი პარტიათა შორის შუღლმა. ზოგიერთი ჰაეური, სოციალისტების სახელის მატარებელი ვაჟები, რომლებსაც არც თავის არც სხვისი პარტიების არა გაგებათ რა, თუ ვინმე დაინაგეს რომ ჩაეწეროს საქართველოს ეროვნ. დემ. პარტიაში, მაშინვე იერონიით დაუწყებენ ლაპარაკს: „კაცო, ვაქრების და ხუცების პარტიაში რა გინდაო? ამისთანა სამარცხვინო ლაპარაკმა სხვათა შორის გავლენა იქონია ხსენებულ გ—ძეზე, რომელიც მივიდა აღმასრულებელ კომიტეტთან და მიმართა თხოვნით: ოღონდა მომეკეთ მოწმობა, რომ სამსახური ვიშოვო, და თქვენს პარტიაში ჩაეეწერებიო. კომიტეტმა მიიღო მისი თხოვნა და სხვათა შორის ჩამოართვა ასეთი ხელწერილი: „მე გ—ძე ვანებებ თავს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიას, როგორც უვარგისს და გადმოვდივარ ს.-დ. პარტიაშიო". ეს ამბავი გიიგო ადგილობრივ ეროვნ. დემ. პარტიის კომიტეტმა და შეკიფერი პასუხი მოსთხოვა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც თავი იმართლა იმით, რომ ეს ჩვენ ვიხუმრეთო. მაგრამ ეს რომ ხუმრობა არ იყო, იქიდგან სჩანს, რომ გავიდა დრო და ამ გ—ძეს უწონდელი კეთილ სიმედობას მოწმობა დაეკარგა და დასჭირდა ხელახალი მოწმობა სამსახურის საშინაო. ამისთვის მიმართა ხსენებულ აღმასრულებელ კომიტეტს, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო სხვათა შორის ადგილობრივმა კომისარმა უთხრა, მოწმობას იმიტომ არ გაძლევეთ, რომ შენ ჩვენი პარტიის არა ხარო. ადგილობრივმა ეროვნ-დემ. პარტიის ორგანიზაციამ მოსთხოვა ხსენებულ კომიტეტს განმარტება, თუ რა უდეკს მიზეზად პიროვნების ეროვნულ-დემ. ეროვნ. ეროვ. ეროვ. ეროვ